ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 57

23.07.2021
12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 2-01

მიმდინარე წლის 23 ივლისს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი **გაიოზ თალაკვაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე **მარიამ კვერნაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, *(საფუძველი წერილი N12-032120333-03, 22.07.2021).* (**მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი);
2. **„ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/კ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-*

032119075-03; 09.07.2021). (მომხსენებელი - **მარიამ კვერნაძე**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე);

3. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-032119416-03; 13.07.2021).* (**მომხსენებელი - ირაკლი გვილავა**, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი).

კომისიის სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ, საკრებულოს დადგენილების პროექტი - კომისიებს წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა.

გაიოზ თალაკვაძე - მოგესალმებით, პროექტის გათვალისწინებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მისაღები შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც იზრდება შემოსავლების ნაწილში დამატებული ღირებულების გადასახადი - 42 450,1 ათასი ლარით. სხვა შემოსავლების ნაწილში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 6 000,0 ათასი ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 10,000.0 ათასი ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 1 000,0 ათასი ლარის ოდენობით. მცირდება გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 25 000,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 5 000,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება 34 450,1 ათასი ლარით და შეადგენს 1 226 976,9 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები 9 000,0 ათასი ლარით. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: გზების მოვლა-შეკეთება რაიონში (კოდი 01 01) ქვეპროგრამის ასიგნება – 750,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 1 000,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 6 000,0 ათასი ლარით, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 8,503.5 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნება – 3 500,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) - 5 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის

რაიონში (კოდი 02 09 11) ქვეპროგრამის ასიგნება – 422,2 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნება - 1 022,2 ათასი ლარით, 2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები (კოდი 02 11) – 100,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 865,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 3 000,0 ათასი ლარი, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) – 390,0 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია (კოდი 06 01 06) – 258,4 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 260,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 438,3 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) – 500,0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 3 000,0 ათასი ლარი, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) – 25,0 ათასი ლარი, სამეფო უბნის თეატრი (კოდი 08 01 08) – 42,8 ათასი ლარი, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 70,0 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 09) პროგრამის ასიგნება - 445,0 ათასი ლარი, **სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) ქვეპროგრამის ასიგნება – 200,0 ათასი ლარი, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 3 08 01) – 300,0 ათასი ლარით,** სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) პროგრამის ასიგნება – 150,0 ათასი ლარი,

მცირდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: გზების გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 2 910,0 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) – 470,0 ათასი ლარით, საპროექტო–საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებების (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნება - 300,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) – 190,0 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) - 1 052,3 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნება - 358,4 ათასი ლარით, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) – 210,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) – 5,0 ათასი ლარი, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) ქვეპროგრამის ასიგნება – 35,0 ათასი ლარით, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) პროგრამის ასიგნება - 28,0 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 14 09) ქვეპროგრამის ასიგნება – 84,3 ათასი ლარი, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) – 50,0 ათასი ლარი, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 01) - 50,0 ათასი ლარი, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა (კოდი 08 02) პროგრამის ასიგნება- 482,8 ათასი ლარით, **სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობა (კოდი 06 08 04) ქვეპროგრამის ასიგნება – 500,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 60,0 ათასი ლარი,** კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) პროგრამის ასიგნება - 500,0 ათასი ლარით, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) – 48,6 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) – 5 000,0 ათასი ლარი, საბაგირო ტრანსპორტის განვითარება (კოდი 01 02 08) – 7 400,0 ათასი ლარი, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) – 1 891,4 ათასი ლარი, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03

01) – 3 000,0 ათასი ლარი, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 1 600,0 ათასი ლარი, **სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 1 000,0 ათასი ლარი, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 5 108,6 ათასი ლარი.**

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები გახლავთ ბოლო, მეექვსე მოწვევის საკრებულოსთვის, კერძოდ 500,0 ათასი ლარით შემცირდა სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მშენებლობის პროგრამა, რომელიც გადადის ახალგაზრდულ ნაწილში და მოხმარდება ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამას. დიდუბის გამგეობის კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამიდან თანხის ნაწილი გადანაწილდება ამავე გამგეობის ინფრასტრუქტურის მიმართულებაში.

ირაკლი გვილავა - საქალაქო სამსახურის ყველა პროგრამა და პროექტის უდიდესი ნაწილი მთელი წლის განმავლობაში, როგორც იყო დაგეგმილი ისე მიმდინარეობს, აღნიშნული გადანაწილებებიც მოსალოდნელი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე განკარგულების პროექტი კომისიას წარუდგინა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ.

მარიამ კვერნაძე - მოგესალმებით, აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებულ 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ქართული

საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის ინვესტიციის განხორციელების პირობით იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას საპრივატიზაციო პირობით, რაც ითვალისწინებს მინიმუმ 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებას 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, საბრძოლო-საჭიდაო მოედნის მოსაწყობად, სარბენი ბილიკების განსაახლებლად, მარტივი სავარჯიშო ინვენტარის დასამონტაჟებლად, ასევე მწვანე ნარგავების დასამატებლად. ხრიდოლის ფედერაციის წერილს თან ერთვის საქართველოს პარლამენტის შუამდგომლობა.

აზრი გამოთქვეს:

ნიკოლოზ მჭედლიშვილი - თბილისის ხრიდოლის 11 დარბაზიდან ერთ-ერთია, რომელიც უკვე ფედერაციის საკუთრებაა. იყო ნაგავსაყრელი, რომელიც 22 წლის წინ მოვაწესრიგეთ, გავამწვანეთ და შენობა გავარემონტეთ, თავდაპირველად ავიღეთ 10 წლიანი იჯარით, 2008 წელს გაიტანეს აუქციონზე და მოვახერხეთ შესყიდვა. 2009 წელს შენობის წინ მდებარე სივრცე ავიღეთ იჯარით სავარჯიშოდ, იჯარით გადაცემული ტერიტორია გამოიყენებოდა სპორტულ ეზოდ, ღია სავარჯიშო და საწვრთნელ მოედნად, ტერიტორიაზე ასევე დაირგო მარადმწვანე ნარგავები. ვითხოვთ მიწის ნაკვეთის გადაცემას (იჯარის ფორმით) სიმბოლურ ფასად, ვინაიდან ათწლიანი იჯარა ტვირთად აწვებოდა ფედერაციას. ფედერაცია გეგმავს ტერიტორიაზე დამატებით 5000 ათასი ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელებას ხუთი წლის განმავლობაში, საბრძოლო-საჭიდაო მოედნის მოსაწყობად, სარბენი ბილიკების განახლებისთვის, მარტივი სავარჯიშო ინვენტარის დასამონტაჟებლად და მწვანე ნარგავების დასამატებლად.

გიორგი ჩაკვეტაძე - წარმოდგენილ განკარგულების პროექტს აქვს ქალაქ თბილისის მთავრობის მხარდაჭერა, ვაფასებთ ფედერაციის მიერ გაწეულ შრომას აღნიშნული სახეობის განვითარების მიმართულებით. კომისიას, სურვილი გვაქვს ადგილზე შევისწავლოთ არსებული სიტუაცია და ვიმსჯელოთ შესაძლო კორექტირებაზე, საინვესტიციო პირობებთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე რამდენიმე დღით გადავდოთ პროექტის განხილვა, დამატებით შესწავლის მიზნით.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისში, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონში, კორპუსი 5-ის მიმდებარედ არსებული 638 კვ.მ. მიწის ნაკვეთის' (ს/კ: 01.11.13.002.096) პირდაპირი განკარგვის წესით ა.ა.ი.პ - ქართული საბრძოლო ხელოვნების ეროვნული ფედერაცია ხრიდოლისთვის (ს/კ: 400013178) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის **გადადება, საკითხის დამატებითი შესწავლის მიზნით.**

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია კომისიას წარუდგინა - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა.

ირაკლი გვილავა - წესში ცვლილება შეეხება რამდენიმე ახალ მიმართულებას, კერძოდ - ქალთა სპორტულ კლუბებს რომლებსაც თბილისში ექნებათ რეგისტრაცია, საქალაქო სამსახური დაეხმარება, როგორც დამწყებ კლუბს პირველ ეტაპზე ფართის ქირავნობის, ეკიპირების და ინვენტარის მიმართულებით 5 000 ლარის ფარგლებში, ასევე უკვე მოქმედ ქალთა იმ კლუბებს, რომელიც უკვე ფუნქციონირებენ და მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ტურნირებში მიიღებენ საქართველოს ჩემპიონატში საპრიზო ადგილის მოპოვების შემდეგ ფულად პრემიას: I ადგილი 10 000 ლარი, II ადგილი 8 000 ლარი, III ადგილი 5 000 ლარი. რაც შეეხება პარასპორტის მიმართულებით აქ გუნდური სახეობები არ გვყავს, ამიტომ გუნდური სახეობების შექმნას კაცთა და ქალთა შორის დავეხმარებით და წავახალისებთ, იგივე პირობებით. თბილისში უნდა იყოს რეგისტრირებული და ძირითადი ბაზა უნდა ქონდეს თბილისში. ამ მიმართულებას აქვს პერსპექტივა და ვიმედოვნებთ, რომ წახალისდება თავის შედეგს გამოიღებს.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესში პოზიტიური ცვლილებით უკვე შესაძლებელი ხდება - თბილისში რეგისტრირებული ქალთა და პარასპორტსმენთა გუნდების/კლუბების დაჯილდოების პუნქტში, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატსა და გუნდური სახეობის საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის სპორტსმენთა დაჯილდოების დამატება **I ადგილი 10 000 ლარი, II ადგილი 8 000 ლარი, III ადგილი 5 000 ლარი.** აგრეთვე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ქალთა გუნდების/კლუბების, სხვადასხვა სპორტული ინვენტარის, ეკიპირების შესაძენად, ან სავარჯიშო სივრცის იჯარის საფასურის დაფინანსების საკითხის გათვალისწინება **5 000 ლარის** ოდენობით. დადგენილებაში ცვლილებები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მასობრივი სპორტის პოპულარიზაციის, ქალთა სპორტის, პარასპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ხელშეწყობას. ასევე, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მიღწეული წარმატებისთვის ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გუნდების/კლუბების წახალისებას. ქალთა სპორტში ჩართულობის გაძლიერებას და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციასა და განვითარებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე